დამტკიცებულია ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2018 წლის 28 მარტის №05-01/05 გადაწყვეტილებით

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი (19.05.2025, №05-01/11)

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი/ბხსუ) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს. (19.05.2025, №05-01/11)

მუხლი 2. აფილირება

1. აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას (აფილირების შეთანხმება), რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტთან და მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და უნივერსიტეტში:

ა) ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/ შემოქმედებით/ საშემსრულებლო საქმიანობას და ამ საქმიანობიდან გამომდინარე მისი კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება ბხსუ-ს;

ბ) აქტიურად არის ჩართული ბხსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/ შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

გ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

1[1]. ბხსუ-სა და სხვა დაწესებულების კონსოლიდირებულ რესურსებზე დაფუძნებული კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის შედეგების ჩათვლის/ განაწილებისას ბხსუ-ს აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია ბხსუ მიუთითოს როგორც პირველადი დაწესებულება. (19.05.2025, №05-01/11)

2. უნივერსიტეტში არ შეიძლება პირის აფილირება, თუ:

ა) პირი აფილირებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) უნივერსიტეტის გარდა დასაქმებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რის გამოც მას ხელი ეშლება უნივერსიტეტში დადგენილი აფილირების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებაში, რაც მოწმდება სასწავლო პროცესის მიმდინარე მონიტორინგითა და აკადემიური დატვირთვის წლიური მოცულობის შესრულების გაკონტროლებით.

3. აფილირებული პირი ასრულებს ყველა იმ მოვალეობას და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც უნივერსიტეტში დადგენილია შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის და მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

4. აფილირებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია აფილირებული პირი.

მუხლი 3. აფილირებასთან დაკავშირებული პროცედურები

1. პირი, რომელსაც სურს დაიკავოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესის მოთხოვნებს და წერილობით დაეთანხმოს (დანართი №1) ან არ დაეთანხმოს მხოლოდ ბხსუ-სთან აფილირებას და დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, გააჩნია თუ არა ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. **(14.06.2024,№05-01/03)**

1¹. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას, თანაბარი მონაცემების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ იმ კონკურსანტებს, რომლებიც გამოხატავენ წინასწარ წერილობით თანხმობას აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ბხსუ-სთან აფილირებაზე. **(14.06.2024,№05-01/03; 19.05.2025, №05-01/11)**

1². აფილირების პირობით აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე კონკურსანტი აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ვალდებულია ბხსუ-სთან გააფორმოს აფილირების შეთანხმება (დანართი №2). **(14.06.2024,№05-01/03)**

2. აფილირების შეთანხმება იდება შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

3. აფილირებული აკადემიური პერსონალის აფილირება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არ იწვევს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გაუქმებას და შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას. **(08.10.2021, №05-01/03; 14.06.2024,№05-01/03)**

4. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე (აგრეთვე, ნებისმიერ დროს, დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებიდან 10 დღის ვადაში) წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის ოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ.

5. **(ამოღებულია-14.06.2024,№05-01/03)**

მუხლი 4. გარდამავალი დებულება

უნივერსიტეტის ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება ვალდებულია უნივერსიტეტთან გააფორმოს აფილირების შეთანხმება.

დანართი №1
(14.06.2024,№05-01/03; 19.05.2025, №05-01/11)

აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე პირის განაცხადი აფილირების შესახებ

ქ. ბათუმი ------ --------- 20-- წელი

მე ---------- პ/ნ ---------- გავეცანი უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №05-01/05 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესს“ და ვაცხადებ თანხმობას, რომ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში აფილირებული ვიყო მხოლოდ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ამ მიზნით გავაფორმო შესაბამისი აფილირების შეთანხმება.

----------/ხელმოწერა/

დანართი №2
(14.06.2024,№05-01/03; 19.05.2025, №05-01/11)

აფილირების შეთანხმება

ქ. ბათუმი „----“ ---------- 20-- წელი

ერთი მხრივ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32), (შემდგომში-„ბხსუ“), წარმოდგენილი მისი რექტორის ---------- სახით (შემდგომში-„დამსაქმებელი“) და მეორე მხრივ აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში გამარჯვებული/აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნული მოქალაქე ---------- (შემდგომში-„დასაქმებული“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. დასაქმებული (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი/ასისტენტი) აფილირებულია მხოლოდ ბხსუ-სთან და ვალდებულია:
1.1 ბხსუ-ს სახელით მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;
1.2 ბხსუ-ს სახელით განახორციელოს ძირითადი საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობა და ამ საქმიანობიდან გამომდინარე მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ჩაეთვლება ბხსუ-ს;
1.3 აქტიურად იყოს ჩართული ბხსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
1.4 აქტიურად იყოს ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.
2. დასაქმებული ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე (აგრეთვე, ნებისმიერ დროს, დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებებიდან 10 დღის ვადაში) წარმოადგინოს ინფორმაცია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური/სასწავლო დატვირთვის ოდენობის, მათ შორის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
4. შეთანხმების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები:
4.1 შეთანხმება ძალაშია ---------- დან ----------მდე.
4.2 შეთანხმების შეწყვეტის საფუძვლებია:
4.1 პირადი განცხადება;
4.2 სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირება;
4.3 შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
4.4 შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა;
4.5 აფილირების შეთანხმების პირობების დარღვევა.

მხარეთა ხელმოწერები

„დამსაქმებელი“	„დასაქმებული“
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი	სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_____	პ/მ № _
	პ/ნ _
	ფაქტ/მის _
	რეგისტრ.მის _
	ტ: _
	ელ. ფოსტა _
	ხელმოწერა _